საქართველო
თავდაცვის სამინისტრო

GEORGIA
MINISTRY OF DEFENCE

„25.2" 03 2013 წ.

№ 7/7/1625

"საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო"-ს
აღმასრულებელ დირექტორს ქალბატონ ეკა გიგაურს

ქალბატონო ეკა,

თქვენი 2013 წლის 19 თებერვლის №1418-10 და №1419-10 წერილების პასუხად, დანართის სახით გაწვდით თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებიდან და საჯარო სამართლის იურიდიული პირებიდან მიღებულ საჯარო ინფორმაციას.

ამასთან, თქვენს მიერ მოთხოვნილი დანიშვნის და გათავისუფლების ბრძანებების, აგრეთვე შესაბამისი დოკუმენტაციის ასლები წარმოადგენს პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას, რომლის გაცემა ხდება მხოლოდ ამ პირების თანხმობით.

"სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვარის № 42 ბრძანებულების თანახმად, ცნობები პირადი შემადგენლობის რიცხოვნობის შესახებ (გარდა პირადი შემადგენლობის რიცხოვნობის კანონით დამტკიცებული ზღვრული ოდენობისა), წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას, რის გამოც ვაწვდით ინფორმაციას მხოლოდ სამინისტროს სამოქალაქო პირთა რიცხოვნობის შესახებ.

დანართი: 1. ინფორმაცია (1 ფურცელი).
2. კონკურსის ჩატარების შესახებ დოკუმენტაციის ასლი (12 ფურცელი).

პატივისცემით,

არჩილ ჭანტურია

ადმინისტრაციის უფროსი

0112 ქ.თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ.20 ტელ (995 32) 2 91 20 58
20 GENERAL G. KVINITADZE STR. 0112, TBILISI, GEORGIA, TEL. (995 32) 2 91 20 58
E-MAIL: MOD@MOD.GOV.GE

დანართი: №1

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამოქალაქო პირთა რაოდენობაა (საშტატო და არასაშტატოს ჩათვლით) 7 678;
2. 2012 წლის 20 ოქტომბრიდან 2013 წლის 19 თებერვლამდე სამინისტროს სისტემაში დანიშნულ პირთა ჯამური რაოდენობაა 1116 (შენიშვნა: 2012 წლის დეკემბერში ხელშეკრულებების ვადის გასვლის გამო, განხორციელდა მოქმედ შტატგარეშე მოსამსახურეთა ხელახალი გადანიშვნა. ჩვენს მიერ მოწოდებული რიცხვი არ მოიცავს ამ კატეგორიის დანიშვნებს);
3. 2012 წლის 20 ოქტომბრიდან 2013 წლის 19 თებერვლამდე სამინისტროს სისტემაში გათავისუფლებულ თანამშრომელთა ჯამური რაოდენობაა 690 (შენიშვნა: 2012 წლის დეკემბერში ხელშეკრულებების ვადის გასვლის გამო, განხორციელდა მოქმედ შტატგარეშე მოსამსახურეთა ხელახალი გადანიშვნა. ჩვენს მიერ მოწოდებული რიცხვი არ მოიცავს ამ კატეგორიის გათავისუფლებებს);
4. 2012 წლის 20 ოქტომბრიდან 2013 წლის 19 თებერვლამდე საკუთარი განცხადების საფუძველზე სამინისტროს სისტემაში გათავისუფლებულთა ჯამური რაოდენობაა 151;
5. სამინისტროს სისტემაში კონკურსის წესით დანიშნულ მოსამსახურეთა ჯამური რაოდენობაა 68 (იხ. დანართი № 2);
6. ატესტაცია თავდაცვის სამინისტროს სისტემაში არ ჩატარებულა.